



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 167

2013 წლის 29 ნოემბერი
ქალაქი ხაშური

ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“
ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისათვის საქველმოქმედო
აქციის ჩატარების ხელშეწყობისათვის მომსახურების გამარტივებული შესყიდვით
განხორციელების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2013 წლის 29 ნოემბერს შემოსული ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“ N4034 წერილის, მუნიციპალიტეტის გამგეობის საბიუჯეტო დაგეგმვის, მოსაკრებლის ადმინისტრირებისა და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2013 წლის 29 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 29 ნოემბრის N1049 ბრძანების შესაბამისად ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქციის ჩატარების ხელშეწყობისათვის მომსახურების შესყიდვა აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ორგანიზაცია „ქართული ოცნება-ჯანმრთელი მომავალი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქციის ჩატარების ხელშეწყობისათვის მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

